პროექტი

განკარგულება

ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ ქვეპუნქტის, 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთმა (ნ.დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) დაკარგოს მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსი.

2. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხა დანართი #1–ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის 2023 წლის დამატებითი გეგმა დანართი #2–ის შესაბამისად.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.